

აქედით სავალი სატყეო სასაღებო დასახლება
აწყობს დიდ ღრებებს, პატივებს ასობით ადამიანებს და გამართულ
წვეულების საფასურს მოწვეულ სტუმრებს წინასწარ ახდევინებს.
აღნიშნული ჩვეულება ეწყობა ანგარების მიზნით და გადაქცე
ლია იოლი შემოსავლის წყაროდ.

— რაუდება, იშონე სამასი მანათი და წვივად
სისთან, სახლის გადახურვაზე პატარა წიწვივით
არა. ძამა, მე ნებსორთან ვარ დაპატივებულ
მანათოდ და იქ მირჩევნია.





„ნიაჩმა“ გადაწყვიტა თახი, რომლის ნიშნის მიხედვით დადგენილი იქნება, გადასცეს მეექვსე სამშენებლო სამმართველოს უფროსს დიდი ბიუჯეტი, ამავე სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს ცუცქირიძეს და სამშენებლო მმართველებს ქალაქს.

საფუძველი: პავლოვის ქუჩაზე საფაქრო ტექნიკუმის ხუთსართულიანი შენობის ისეთი წარმატებით მშენებლობა, რომ წარსული მშენებლობის პროცესში მთლიანად ჩამოინგრა.


თავისი მუშაობით თახი დაიმსახურა აგრეთვე ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანის მეორე პარტყრილობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხიდიშელმა, რომელმაც 1955 წელს დაწესებული საწყობის შენობა, ისე მოახერხა, რომ დღემდე არ დაუმთავრებია.

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამო და,

ხიდიშელს არც ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლომიტაშვილი ჩამორჩა, რომელმაც ჰექტარიდან გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერი ხორბლის ნაცვლად 3,5 ცენტნერი აიღო.

ლომიტაშვილმა დისციპლინა და შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობაში ისე კარგად დააყენა, რომ ჰექტარიდან 13 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 3,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ხოლო ფერმების მექანიზაციისათვის კრედიტის სახით აღმასკომიდან მიღებული 23 ათასი მანეთი სხვა დანიშნულებით გახარჯა.

ნიანგი



(ტიპური ნარკვევი)

ელექტრონათურასავით ამობრწყინდა მზე, და ზამთრის საძოვრებზე ყრიაშლითა და ჟღერტუნით წამოიშალნენ ახალულვაშწამოშლილი მეცხვარეები. ნიაჩმა ისე ძალუმად დაუბერა, რომ ჯარჯო აფციაურს შლიაპა მოსტაცა და დათვიას ფეხებთან რომ არ მიგორებულყო, სახელმძხვრეკილი მეცხვარე უქუდოდ დარჩებოდა. «ძმა ძმისთვისო და ამ დღისთვისო», გაიფიქრა ჯარჯომ.

— წარმოდგენილი მაქვს, შენს მზალს რომ დაენახე ამ სიტუაციაში, რა ჰომერიული სიცილი აუტყდებოდა, — ხუმრობით უთხრა დათვიამ. ჯარჯოსაც გაუბო მარწყვის ბაგე ღიმილმა და ბროლის მძივებივით ჩამწყრივებული კბილები გამოუჩინა.

ფარა კი მადიანად ძოვდა.

შორიდან მოისმოდა ბეთჰოვენის მომადლოებელი მელოდიების ხმა, ეს ძალღიკა ჯიქურაული იყო, რომელსაც ისე უყვარდა ვიოლინო, რომ თავიდან არასოდეს იშორებდა.

— საოცარი თვისებების მქონეა ძალღიკა, — დაიწყო ჯარჯომ, — საგზალთან ერთად მუდამ ერთი საკვოიაცი ნოტები მოაქვს ხოლმე და პაგანინის მოთმინებით ხვეწავს თავის ტექნიკას. ამ პერიოდში იგი სავსებით გამოთიშულია გარე სამყაროსაგან და რალაც მიღმა, არამქვეყნიური მუსიკალური სიცოცხლით ცხოვრობს.

— მარტო სხვისი უცნაურობა რატომ გიკვირს, ჯარჯიკო, — სიტყვა ჩამოართვა დათვიამ, — სამაგიეროდ შენ გვარიანი ბიბლიომანი ხარ, — კვლავ ჩვეული მახვილგონიერებით იხუმრა დათვიამ.

ფარა კი ნოყიერ ზალახს ძოვდა და ძოვდა.

მეგობრები ისე იყვნენ გართული პაექრობაში, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ მოუახლოდნენ ღვთისო, ხადილა, ჯოყოლა და... მზალო — ჯარჯოს გულის ვარდი და დარდი. ბომბორა მურამ პირი გაალო დასაყუფად, მაგრამ იცნო თუ არა მოსულეები, პირდაღებული დარჩა და კუდის ქნევით გაქანა მათკენ.

— კვარტეტს ვახლავარ. — კვლავ მოსწრებულად იხუმრა დათვიამ. მეგობრებმა გულიანად ვადიხარხარეს. მზალს

თერმოსით ყავა ამოეტანა, არც მტვერსასუსტი დავიწყებოდა.

— თქვენს რატინის პალტოებს ისე სადაგლად ედება მტვერი, რომ მტვერსასუსტის გარდა ვერაფერი უშველის. — შემდეგ ჯარჯო და მზალვე გაუჩინარდნენ და მხოლოდ მაშინ დაინახეს ისინი მეგობრებმა, როდესაც მზალვე განშორებისას ნეილონის მანდილს უქნევდა ჯარჯოს.

მალე ჯარჯო დაუბრუნდა მეგობრებს და კვლავ დაფარა მხიარულმა ჟივკივმა არემარე. მხოლოდ ხადილა იყო ჩაფიქრებული, მისი აზროვნება კიბერნეტიკის მანქანასავით სწრაფად და ზუსტად მუშაობდა. «გასულ წელთან შედარებით ჩვენი ფარა ბიკვადრატულია, — ფიქრობდა ხადილა, — ხოლო გაისათაც თუ ბიკვადრატულად გაიზარდა, საძოვრების მხრივ კრიზისი გვექნება, — შემდეგ თავის მეგობრებს შეხედა იმედიანი თვალელებით. — თუმცა რას ვამბობ, — განაგრძო ფიქრი ხადილამ, — ასეთ ვაჟაკებს წინ რა დაუდგებათ!»

— მეგობრებო, შეხედეთ რა დიდებული პეიზაჟია, — დაიწყო გატაცებით ლაპარაკი ღვთისომ, — რა გრაციოზულად მიმოდიან ცხვრები, ამ ადგილის უფარეხოდ აღქმა ვერც კი წარმომიდგენია, ეს რალაც ერთი მთლიანი გეშტალტია.

— აი, მე შარშან პირველად ვიყავი აქ და იცით რა კუროზი დამემართა, — დაიწყო მოყოლა ჯოყოლამ.

— ვიცით, ვიცით, ჩვენო ჯოყოლიკო. — არ აცალეს მეგობრებმა მოყოლა ჯოყოლას.

მზე თანდათან კარგავდა თავის ბრწყინვალეობას, დანაყრებული ფარა ტაატით მიემართებოდა მათთვის განკუთვნილ სადგომებისაკენ. მალე მთვარე, ეს ღამის გუშაგი, დაეკიდა ტატნობზე. ზამთრის საძოვრების გმირები კი ყავას შეექცეოდნენ და თან წყნარად მუსაიფობდნენ. ხვალ დილიდან კი კვლავ ასეთი ნაყოფიერი შრომა ელოდათ!

ბ. კატარიძე

რაციონალიზატორი წინადადება

ვინაიდან თბილისის ტრამ-
ლეიბუსები და ავტობუსები
ყველა მსურველებს ვერ იტყვენ,
რის გამოც ბევრი მგზავრი კა-
რებში იჭყლიტება და ხშირად
ისინი არასასიამოვნო სიტყვებ-
საც ამბობენ ზოგიერთი ამხანა-
გების მისამართით, მგზავრების
უკეთ მომსახურების მიზნით შე-
მოგვაქვს წინადადება:

ტრამვაი-ტროლეიბუსების სა-
მმართველომ და ავტოტრანს-
პორტის კანტორამ შეიძინოს
იმდენი კაუჭი, რამდენი ფანჯა-
რაც აქვს მარჯვენა მხრიდან
ყველა ავტობუსსა და ტრო-
ლეიბუსს და მიამაგრონ ისინი
(როგორც ეს ხორცის მალა-
ხიებშია) ორ-ორი ცალი თითო
ფანჯარაზე.

იმ პირობებს, რომლებიც მან-
ქანაში ვერ მოხვდებიან, საშუა-
ლება ეძლევათ პალტოს ან
პიჯაკის საყელოთი ჩამოეკიდონ
კარებზე და იმგზავრონ დანიშ-
ნულების ადგილამდე.

ამ წინადადების უპირატესობა
შემდეგში მდგომარეობს:

1. მგზავრობა ხდება სუფთა
ჰაერზე;
2. ნეკნები მთელი შერჩება,
და იქნებ — თავიც;
3. ჯიბეებში ხელს არავინ
ჩაუყოფს.

როგორც კი ეს წინადადება
წამოვაყენეთ, ტტს-დან და ავ-
ტოსატრანსპორტო კანტორი-
დან შემოგვედავნენ — თქვენი წი-
ნადადება იმით არის უხერხული,
რომ კაცი შეიძლება დაიხრჩოს
და ეს მოუთმენელია.

განა ტროლეიბუსში ან ავტო-
ბუსში გაქყლეთა კი მოსათმე-
ნია?!

ვიძლევით რა ამ პასუხს, თავს
ნებას ვაძლევთ და ჩვენს რაციონ-
ალიზატორულ წინადადებას
მიღებულად ვთვლით, ვიდრე
ტტს-ი და ავტოსატრანსპორ-
ტო კანტორა თავის წინადადე-
ბას წამოაყენებდეს.

გაქყლეთილა სახელით
ბ. ჭვარაცია

— ო, რა შეხანიშნავი სადამოა, როგორ კართიან ვარსკე-
დავები, როგორი იღუმალაა მთვარე.
— ღობე-ყორეს ნუ ედებით, პირდაპირ მითხარით რა
ვსურთ.



ნახ. ჯ. ლოლუასი



— დიდი შრომის მოყვარე და მუყაითი მეცნიერია ჩვენი დომენტი.
 — აფსუს, პატარა ნიჭიც რომ ჰქონდეს, რა იქნებოდა?!

მტკვრის, ხრამის, ალაზნის, ტეხურის, არაგვისა და სხვა წყალსატევებში სისტემატურად ასაფეთქებელი და მომწამლედი ნიეთიერებების გამოყენებით წარმოებს თევზის ჭერა. რასაც არ ექცევა სათანადო ყურადღება.


ნახ. გ. ფირცხალავისი



— სადაა ახლა ჩვენი მილიციის უფროსი?!
 — იმას თევზი არ უყვარს. ჯიხვებზე სანადიროდაა წასული.

აპარა ლაღი

ნახ. თ. ჯგერუშვილისი
 ბიზლიქთქა



— ჩემო ფისუნია, ჩემო ფისუნია.



— ჩემო ფისუნია, ჩემო ფისუნია.

ნახ. ლ. სარაჯიშვილისა



უბექსტო ხუმრობა

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა

ერთი მოვაჭრე ბაზარზე გასაყი-
დად გამოტანილ სავარცხელს აქებ-
და: როგორც გინდათ ისე მოიხ-
მართ, შეგიძლიათ ადუღებულ
წყალში ჩააგდოთ, შეგიძლიათ მო-
ლუნოთ, ფეხიც რომ დაადგათ, ფიქ-
რი არა აქვს...

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და
ჰკითხა: მაგითი თმის დავარცხნავ
თუ შეიძლებაო.

* * *

შეგებულებიდან დაბრუნებული
ჰქებერი ჰყვებოდა: იმავე პანსიონ-
ში მოვხვდი, სადაც შარშან ვისე-
ნებდი: ისევე დამხვდა ჩემი ჩანა-
წერი საჩივრის წიგნში, არაფე-
რი გამოესწორებინათო.

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და
უთხრა: მხოლოდ თარიღის შეცვლა
დაგჭირდებოდათო.

* * *

გუსტავმა ორსაათიანი რეფერა-
ტის წაკითხვის შემდეგ სხდომის
თავმჯდომარეს ჰკითხა: ხომ დამა-
ჯერებელი იყო რეფერატიო.

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და უთ-
ხრა: კი, როგორ არა, მე თვითონ
დავინახე უმრავლესობა თავს აკა-
ნტურებდაო.


* * *

სასამართლოში ოთხმოცი წლის
ავტოქურდს მოსამართლემ ჰკითხა:
არა გრცხვენიათ, ამდროული კაცი
ავტომობილებს იპარავთ?

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და
თქვა: მაგის ახალგაზრდობაში ხომ
არ იყო ავტომობილებიო.

„ოილენშპიკელი“. გერმანულიდან
თარგმნა

ზოთა ამირანაშვილი



მეზობარო ნიანგო!

„თბილისილბოსტანვაჭრობამაც“ გაიგო, რომ ბოსტნეული გი-
ყვარს. რომ გაგიადვილოს ხილისა და ბოსტნეულის შექენა, ქა-
ლაქის თითქმის ყველა უბანში გახსნა ამ პროდუქტებით სავაჭრო
პაველიონები. ასეთი სავაჭრო იყო დავითაშვილის ქუჩის ბოლო-
შიც (№ 47).

მაგრამ ზამთარი დაიწყო თუ არა, ჩვენი პაველიონი 'უბატ-
რონოდ მიატოვეს, ქარმა ბრეზენტის სახურავი ახადა, სავაჭრო
ნაგავში ჩაეფლო და თვითონაც სანაგვედ იქცა. განა მარტო
აქ? ათეულობით ასეთმა პაველიონმა ჭირი მოგვჭამა და ნადგურ-
ლება.

იკითხე, თუ არ სჭიროდა, რატომ ეწეოდა მშენებლობის ხარ-
ჯებს პატივცემული «თბილისილბოსტანვაჭრობა?»

ი.რ. კავშირელი

ძმარო ნიანგო!

განა შორს არის სოფელი გომი? იგი ხაშურის ცხვირწინ
მდებარეობს. გულახდით რომ გითხრაო, ბევრ გომელს ხაშუ-
რელების ელექტროქსელიდან ელდენიც კი გადმოუყვანია თავის
ბინაში, მაგრამ ეს ხომ შეთხვევაა და არა წესი?


წესიერი განათებაც სცადეს: ბოძები ჩაგვყარევენ, მავთული
გაგვაბმევენ და გამოგვიცხადეს მზად იყავით, შვიდი ნომე-
რისათვის შუქი უნდა ავინთოთო. ეს იყო ორი წლის წინათ!

იმდენი სიკეთე შენ. რაც გომში დღევანდლამდე შუქმა ვერ
მოაღწია. კოლმურნეობისა და საბჭოს თავმჯდომარეებსაც
დაავიწყდათ დაპირება.

ეპ. რა ვქნათ, ძმარო ნიანგო, ასე ემართება, ვისაც გულმა-
ვიწყი მესვეურები ჰყვანან სოფელში.

ზ. გომელი

ნახ. ნ. მაღაზონიასი



უტექტო ზუმრობა

ამხანაგო ნიანგო!

ჩვენს სოფელს გეზათი, ჰქვიან და ცხა-
კაიას რაიონში შედის. სოფლად—სოფელი,
კაი მოგვცა, კარგია, მაგრამ რა გამოვი-
და, თუ კლუბი არა გვაქვს და სამკითხვე-
ლოც თავზე გვენგრევა?

ამ გასაჭირს თავს ვართმევთ იმით, რომ
ჩვენი კოლმურნეობის კანტორას კონო-
თეატრის მაგიერ ვიყენებთ: მოგვაქვს სუ-
რათები, მაგრამ ჩვენება არ გინდა? მექა-
ნიკოსები აბუჩად გვიგდებენ, ხშირად
მთელ სოფელს ტყუილბრალოდ აცდევინ-
ებენ და ბოლოს გამოუცხადებენ:

— ეს საღამო ტყუილად გააცდინეთ,
წადით ახლა დაიძინეთ და ხვალ შეგატყო-
ბინებთო.—ასე ხდება «ხვალაც». თუ კეთი-
ლინებებს და გვიჩვენეს, ზოგ სურათს თავი
აკლია, ზოგს—ბოლო. კინოქრონიკას, რო-
გორც წესი, ხშირად გადამალავენ ხოლ-
მე—ბევრს ნახავთ, მსუქნად მოგვივითო.
საშუალება მოგვცევი. ამხანაგო ნიანგო,
«წედმეტი» კულტურული მომსახურებისა-
გან დაეცვისათვის მადლობა მოგვასენოთ
ჩვენი კინოუბნის შექანიკოსებს.

ძმარაძე

საუპარკლო ნიანგო!

მობარული ვიქნებით, თუ გორის რაიონ-
ში სოფელ ტირძინისაც ინახულებ. წყალი
მოგწყურდება? «ბაშუსტა»—ავერ შუა
სოფლის ამღვრეული რუ, დაეწაფე. სხვა
საშუალება წყურვილის მოკვლისა ჩვენ არ
გაგვაჩნია. მოგშივდება? სასაუზმეს ნუ
იკითხავ, არა გვაქვს (ტირძინის ხომ დიდი
სოფელია და ასეთი პატარა საქმისათვის
აქ ვინ შეიწუხებს თავს!). კლუბში შესვლას
მოისურვებ? ამისთვის დრო უნდა შეარჩიო,
რადგან იგი უმთავრესად დაკეტილია.

კინოში შესვლას ინებებ? ესეც შემთხვე-
ვის საკითხია, თუ მაგარი ნერვები ამოგყ-
ვა, უცაადე, უცაადე მთელი საღამო, თუ არა
და გორი აქვეა, ჩადი და გაგვიე, როდის
აპირებ ჩვენი რაიადმასკოში ამ სოფელში
კულტურული საქმეების მოწესრიგებას?

ტირძინელი

ბიძია ნიანგო!

იქნებ გაინტერესებს, რით დამთავრდა
სოფელ აკურაში წყაროს «მშენებლობა»?

ინკინერმა ხუნწარამ ისეთი მილსადენი
ავკიშენა—ბიანინო გეგონებოდა. მილბიცი
ბლომად ჩაგვყარევიანა, ნავის მაგიერ დიდი
ქვევრები დაგვადგმევიანა, ხუნწარას 50
ათასი მანეთი მივეციოთ, ხოლო მექანქანე
კალატოზს—18 ათასი. «მდარჩიცი» სხვა
იყო.

— ბოლოს რა გამოვიდაო?—იკითხავ.
გამოვიდა «წყარობანას» გათამაშება. მი-
ლებიდან წყალი არ გამოსულა და დღესაც
სოფელი ისე უწყლოდ არის დარჩენილი.

ამბობენ, იგივე ხუნწარია და კალატოზი
თხოვლობენ ფულების ჩამოყაჭვა გაიმეო-
რეთ და ჩვენც «ცდას» გავიმეორებთ, ეგებ
წყალი ნამდვილად აღმოვაჩინოთო. სცა-
დონ, რა ენაღვლებათ აკურელებს?

ზ. ჯ-ლი

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ბ. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. კელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.



აზილა ღა-აზრის
 მკვინების სოფიდარის
 პანიას კონფიენსიბი

კოლონიზ მკვინების "ნაყოფი" მოსიბდა